საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1083 2024 წლის 1 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ქალაქ ქუთაისში მდებარე ყოფილ პარლამენტის შენობაში ტექნოლოგიური ჰაბის გახსნა 2025 წლისთვის.

2. დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, უზრუნველყოს 2024-2025 წლებში შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჰაბის გახსნისთვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა.

3. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლისთვის საჭირო თანხის – 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის მოძიება დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებული ასიგნებიდან.

4. ამ განკარგულებით გათვალისიწინებული ღონისძიებების ფარგლებში, 2025 წლისთვის საჭირო თანხის – 9 000 000 (ცხრა მილიონი) ლარის გათვალისწინება დაევალოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**